სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/22

ქ. თბილისი 7 თებერვალი 2019 წ.

2018/2019 სასწავლო წელის მეორე სემესტრიდან სტუ-ის დოქტორანტურაში მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 თებერვლის #01-05-02/4ოქმის **საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2018/2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე;

2. დამტკიცდეს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამების შესაბამისი ვაკანსიები (დანართი 1);

3. ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების შესახებ, სადოქტორო პროგრამები და შესაბამისი ვაკანსიები, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე;

4. დამტკიცდეს დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებების და თანმდევი დოკუმენტაციის შემსწავლელი საფაკულტეტო დროებითი კომისიები. უცხო ენაში და დოქტორანტურში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის საუნივერსიტეტო კომისიების შემადგენლობა.

5. ჩარიცხვა დასრულდეს 2018-19 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6)

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა.ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი გ.სალუქვაძე